ეს სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა *ბუღალტრული აღრიცხვის ჟურნალში.* ©2020 ნაფიც პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია. ACCA გასცემს თარგმნის უფლებამოსილებას შემდეგი პირობით: ასოციაცია პასუხისმგებელია დოკუმენტის ორიგინალ ინგლისურ ვერსიაზე და არა მისი თარგმანის ხარისხზე; თუ რაიმე მიზეზის გამო ადგილი აქვს ინგლისური ვერსიის განახლებას, ACCA არ არის ვალდებული აღნიშნულის შესახებ აცნობოს ბაფ-ს/ მსოფლიო ბანკს / SARAS -ს.

Covid-19 – მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების გზა აღდგენისკენ

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების შესაძლებლობები გამოწვევებით აღსავსე დროში

მიგნებები ემყარება ACCA -ს ანგარიშს *„გლობალური კვლევა Covid-19-ის შესახებ: აღდგენისკენ მიმავალი გზა“*

ანგარიში *„გლობალური კვლევა Covid-19-ის შესახებ: აღდგენისკენ მიმავალი გზა“*

Covid-19 -ის კრიზისი 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ გლობალური ეკონომიკისთვის უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა. ACCA -ს დაახლოებით 4,500 წევრის ეს მოკლე კვლევა ეხმაურება ACCA -ს მიერ 2020 წლის აპრილში გამოქვეყნებულ ანგარიშს *„Covid-19-ის გლობალური კვლევა: ბიზნესზე გავლენის და საპასუხო ღონისძიებების ანალიზი“.* ის აგრძელებს ACCA -ს დამოკიდებულების შესწავლას მსოფლიოს მასშტაბით Covid-19 -ის ზემოქმედების შესახებ და აკვირდება ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საპასუხო ღონისძიებებს.

ეს ანგარიში მიზნად ისახავს ACCA -ს წევრთა კვლევის მონაცემების გაზიარებას, თუ როგორ მიმდინარეობს კრიზისი, როგორია ზოგიერთი სტრატეგია, რომელიც მიღებულ იქნა და გვთავაზობს გზამკვლევს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გაეცანით სრულ ანგარიშს

მცირე ბიზნესი კვლავ მძიმე დარტყმის ქვეშ იმყოფება

კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ მცირე ბიზნესი განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოექცა ზოგიერთი ძირითადი მიმართულებით. მცირე საწარმოები მსხვილ ორგანიზაციებთან შედარებით გაცილებით ძლიერი გამოწვევების წინაშე დგანან შეჩერებული ან შემცირებული სამომხმარებლო შესყიდვების და ფულადი ნაკადების თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ბიზნესის თითქმის 60% აღნიშნავს, რომ სამომხმარებლო შესყიდვები შეჩერდა ან შემცირდა.

ფულადი ნაკადებიც მსგავს ტრაექტორიას მიჰყვება: რესპონდენტების (მცირე და საშუალო საწარმოები) 53% ახლა მიუთითებს რომ ეს პრობლემაა, მაშინ როცა ეს მონაცემი მარტში 46 %-ს შეადგენდა. აღნიშნული განსაკუთრებული საკითხია თუ გავითვალისწინებთ მხარდაჭერის ღონისძიებების დიაპაზონს, რომლებიც მთავრობებმა განახორციელეს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით და ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად (რესპონდენტების (მსს) 33% მთავრობის მიერ შემოღებული მხარდაჭერის ღონისძიებებს ეფექტურად მიიჩნევს).


მცირე ბუღალტრული და აუდიტორული ფორმები < 200 თანამშრომლით
მსხვილი ბუღალტრული და აუდიტორული ფირმები > 1000 თანამშრომლით
თანამშრომლის შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითი გავლენა
ფულად ნაკადებთან დაკავშირებული პრობლემები
მოუწია ახალი პროდუქტების და სერვისების ჩაშვების გადადება
შეუძლებელი გახდა უპირატესი მომწოდებლებისგან საქონლის მიღება
იძულებული გახდა გადაედო ინვესტიცია საწარმოო სიმძლავრის გასაზრდელად
0
5
10
15
20
25
30
35
40
45
50
55
პასუხების მთლიანი % წილი



წყარო: ACCA-ს ანგარიში გლობალური კვლევა Covid-19-ის შესახებ, მე-2 ნაწილი, 2020

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები: შესაძლებლობები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს

კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ სხვადასხვა სიდიდის ბუღალტრული და აუდიტორული ფირმების წინაშე არსებული შესაძლებლობები და რისკები განსხვავებულია. რესპონდენტები მსხვილი ფირმებიდან ცხადია მეტ შესაძლებლობებს ხედავენ საკონსულტაციო სერვისებში, რომლებიც უკავშირდება ციფრულ ინფორმაციას, მიწოდების ჯაჭვის მართვას და ბიზნესის უწყვეტობას. მაგრამ აღნიშნული ყოველთვის არ მიესადაგება მცირე ბუღალტრულ და საკონსულტაციო ფირმებს, რაც მიუთითებს მათ მიერ შესაძლებლობების გამოუყენებლობაზე. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები ხელიდან უშვებენ თავიანთი კლიენტი მცირე და საშუალოო საწარმოების დახმარების რეალურ შესაძლებლობებს. დიგიტალიზაციით განპირობებულ მონაცემებთან წვდომით მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებს გადარჩენაში და აღდგენაში მცირე ბიზნესის დახმარების უნიკალური შესაძლებლობა აქვთ.


მცირე ბუღალტრული და აუდიტორული ფორმები < 200 თანამშრომლით
მსხვილი ბუღალტრული და აუდიტორული ფირმები > 1000 თანამშრომლით
შესაძლებლობები ციფრულ გარდაქმნაში და მიწოდების ჯაჭვის მართვაში დასახმარებლად
მასშტაბის შეზღუდვა აუდიტორული მტკიცებულების შეგროვებაში
ანგარიშგების ვადების შესრულების უუნარობა
აუდიტის გაზრდილი რისკი აქტივების შეფასებასთან, ვალდებულებების შესრულებასთან ან მოქმედი საწარმოს შესახებ საკითხებთან დაკავშირებით
5
10
15
20
25
30
35
40
45
50
55
60
პასუხების მთლიანი % წილი



წყარო: ACCA-ს ანგარიში გლობალური კვლევა Covid-19-ის შესახებ, მე-2 ნაწილი, 2020

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების დიგიტალიზაცია – ნამდვილად სანდო მრჩეველი

ახლა ყველაზე მეტად ვიდრე ოდესმე მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები მცირე ბიზნესის სანდო მრჩევლები არიან. Covid-19 -ის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს როლი. აღნიშნული ასევე ერთგვარი მოწოდებაა მცირე ბუღალტრული ფირმების მიმართ რომ მათ გარდაქმნა განაგრძონ. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების ციფრული ტრანსფორმაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ცვლილების ტემპის დასაჩქარებლად, გამძლეობის უზრუნველსაყოფად და კლიენტთა საჭიროებების უკეთ აღსაქმელად.

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებს ამჟამად საუკეთესო შესაძლებლობები აქვთ კლიენტთა მომსახურების თვალსაზრისით, რომ საკუთარი დივერსიფიკაცია განახორციელონ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესის მდგრადობის და უწყვეტობის ამაღლება, მიწოდების ჯაჭვის მართვა და ფართო ციფრული გარდაქმნა. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებს, როგორც ინოვაციის კატალიზატორებს, შეუძლიათ კომპანიების დახმარება შემოსავლების ახალი ნაკადების შექმნაში, მათი ბიზნესმოდელების გარდაქმნაში, ზრდის მხარდაჭერაში და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაში. მაგრამ აღნიშნული ფირმის შიგნით ახალ შესაძლებლობებს და უნარებს მოითხოვს, და პოტენციურად, კულტურის ცვლილებასაც.

ერიონა ბაირაკუტაჯი, მმართველი დირექტორი, Major's Accounts & Co Ltd, გაერთიანებული სამეფო

სწრაფი დიგიტალიზაცია „ლოკდაუნის" პირობებში

დიგიტალიზაციის ჩვენი სტრატეგიის ბოლო ეტაპი 2020 წლის აგვისტოში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, Covid-19 -ის გამო სხვა არჩევანი არ გვქონდა, გარდა იმისა, რომ ეს პროცესი წინ გადმოგვეწია და ერთი კვირის ვადაში განგვეხორციელებინა. ეს ფაქტიურად ასევე გულისხმობდა „ლეპტოპების" შეკვეთას. გუნდი გასაოცრად მოეკიდა დისტანციურ საქმიანობას და ჩვენმა დაუღალავმა შრომამ შედეგიც გამოიღო. ჩვენ მიერ დანერგილმა ყველა სისტემამ „ონლაინ" რეჟიმში საქმიანობის შეუფერხებლად წარმოების შესაძლებლობა მოგვცა ისევე, როგორც ამას ოფისში გავაკეთებდით. მოქნილი სამუშაო პროცესი ჩვენთვის ამჟამად ახალი ნორმაა და ჩვენი გუნდის წევრებს ეს მოსწონთ, რადგან მათ შეუძლიათ სამუშაო პროცესის მორგება საკუთარი ცხოვრების მიმართ.

დიგიტალიზაცია კლიენტებისთვის უფრო მეტი საკონსულტაციო სერვისის გასაწევად

ბუღალტრული აღრიცხვის დარგი არასოდეს ყოფილა ისეთი მიმზიდველი პრაქტიკოსი ბუღალტრებისთვის როგორც ახლა. ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის დაჩქარება ახლა ნიშნავს, რომ მოძველებული მონაცემების შეყვანა შეიძლება გამოირიცხოს და პროცესი ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ავტომატიზებული გახდეს. სამი წლის წინ ჩვენ დავიწყეთ საკუთარი დიგიტალიზაციის სტრატეგიის დანერგვა. იმ დროს განვახორციელეთ ისეთი ეფექტიანი ღონისძიებები ბიზნესში, რომ გაგვიჩნდა უფრო მეტი დრო ჩვენს კლიენტებთან სასაუბროდ, მათ საქმიანობაში გასარკვევად, მათი საჭიროებების და სამომავლო გეგმების შესასწავლად და თუ როგორ შეგვიძლია მათი დახმარება ყველა ამ სფეროში.

დრო რომელიც ჩვენ აღნიშნულ კლიენტებთან საუბარში გავატარეთ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და ხელი შეუწყო მათთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარებას. აღნიშნულის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი კლიენტებისთვის, რომლებიც ცდილობენ Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დაძლევას და რომელთაც სჭირდებოდათ ჩვენი დახმარება ფულადი ნაკადების მართვასთან, სახელმწიფო დახმარების სქემებთან წვდომის და მათი ბიზნესის რეპოზიციონირების თვალსაზრისით. ჩვენ ახლა ჩვენი კლიენტების საქმიანობის აუცილებელი კომპონენტი ვხდებით; დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

მიღებული სარგებელი ორმაგია, არა მარტო შეგვიძლია შევქმნათ ახალი საკონსულტაციო მომსახურების ხაზი, ჩვენ ასევე შევუწყვეთ ხელი ჩვენს კლიენტებს კანონშესაბამისობის მიღწევაში დოკუმენტაციის წარმოების თვალსაზრისით, რაც ჩვენ დაგვეხმარა ჩვენი კონცეფციის რეალიზაციაში რეალურ დროში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.

ტრანსფორმაციის შედეგად ჩვენი გუნდის დემოგრაფია სრულად შეიცვალა, მაგრამ ასევე შეიცვალა ჩვენი კლიენტების ბაზაც. ჩვენ ახლა ნიჭიერი ადამიანების არჩევის ფუფუნება გვაქვს, რომლებიც მონდომებულნი არიან ინოვაციური ფორმით იმუშაონ, მაგრამ ასევე უზრუნველყოფენ, რომ კლიენტები, რომლებთანაც ვიწყებთ ურთიერთობას, თავისი კულტურით და მენტალობით შესაბამისობაში იყვნენ მუშაობის ჩვენ მეთოდებთან. ჩვენი ოფისი ქაღალდის გარეშე მუშაობს და მოქნილი სამუშაო ვარიანტები გვაქვს; ამგვარად

მთლიანობაში გაცილებით ეფექტიანია ჩვენი საქმიანობა, ჩვენი კლიენტების უკეთესად შესწავლის პარალელურად.

ეწვიეთ ACCA-ს Covid-19 -ის „ჰაბს“, სადაც წარმოდგენილია სასარგებლო რესურსები Covid-19 -ის ზემოქმედების შედეგებთან გასამკლავებლად.